საკანონმდებლო მაცნე

თებერვალი 2024
[NO.2] www.bdo.ge

ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება
- გაანგარიშებაში ასახული უკუდაბეგვრის დღგ-ის ჩათვლა
- საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება

2024 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №37, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების 47-ე მუხლში, რომელიც ეხება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საკითხს. კერძოდ, აღნიშნული მუხლს დაემატა ახალი მე-8 პუნქტი და შესაბამისი ახალი №III-03 დანართი, რომლის თანახმადაც დამატებით განისაზღვრა, რომ თუ საგადასახადო შემოწმებისას გამოვლინდა, რომ შესამოწმებელ პერიოდში პირს წარმოეშვა როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ასევე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების უფლება (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციიდან გასულია არანაკლებ 1 წელი და ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხა არ აღემატება 100,000 ლარს დღგ-ის გარეშე), შემმოწმებელი უფლებამოსილია მიმართოს პირს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების ინიციატივით. დღგ-ის გადამხდელის თანხმობა საგადასახადო ორგანოს ეცნობება №III-03 დანართით, რა შემთხვევაშიც, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების უფლების წარმოშობის მომენტიდან.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 7 თებერვლიდან.

გაანგარიშებაში ასახული უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას

2024 წლის 6 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №38, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების 73^2 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს უკუდაბეგვრის დღგ-ის თანხის ჩათვლის ცალკეულ შემთხვევებს, როდესაც ჩათვლა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლით განსაზღვრულისგან განსხვავებული საფუძვლებით. აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ გადასახადის გადამხდელს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს ჩაითვალოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციამდე უკუდაბეგვრის წესით დარიცხული და გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, თუ პირს აღნიშნული თანხის დადგენილი

წესით ჩათვლის უფლება წარმოექმნება (დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში ხდება გამოყენება) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, ჩათვლა არ ხორციელდება იმ გაანგარიშების მიხედვით, რომელშიც ასახული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების კალენდარული წლის დასრულებიდან გასულია 3 წელი.

აღნიშნული ცვლილების შესაბამისად შეიცვალა აგრეთვე, დეკლარაციის ფორმაც და შევსების წესიც.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 7 თებერვლიდან.

საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციები

2024 წლის 16 თებერვალს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №46, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე.

ცვლილება განხორციელდა აღნიშნული ბრძანების მე-8 დანართში, რომელიც წარმოადგენს ინსტრუქციას საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ. კერძოდ, აღნიშნული დანართის მე-14 მუხლის (საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა საქონლის გაშვების შემდეგ) მე-4 პუნქტს დაემატა ახალი „გ“ ქვეპუნქტი.

ცვლილებამდე ზოგადად განსაზღვრული იყო, რომ საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებული საქონლის ღირებულების ცვლილების (გაზრდა/შემცირება) დროს პირი ვალდებული იყო მიემართა საბაჟო ორგანოსთვის საქონლის საბაჟო ღირებულების შეცვლის მიზნით. თუმცა, ცალკე განხილული არ ყოფილა იგივე შემთხვევის დადგომისას ურთიერთდამოკიდებული პირისგან ნაყიდ საქონელზე როგორ უნდა ემოქმედა გადასახადის გადამხდელს.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ბრძანებაში - დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების, გაანგარიშებაში ასახული უკუდაბეგვრის დღგ-ს ჩათვლის და საერთაშორისო კონრტოლირებადი ოპერაციების საკითხებზე.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

ცვლილების თანახმად, საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას, ურთიერთდამოკიდებული პირისაგან საქონლის შეძენის შემთხვევაში, თუ საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების წესებიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ:

- იზრდება საქონლის თავდაპირველი ღირებულება, საბაჟო დეკლარაციით განსაზღვრული საბაჟო ღირებულება უნდა დაკორექტირდეს შესაბამის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის გზით. ამასთან, როდესაც საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით, დეკლარანტს დაეკისრება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, ხოლო როდესაც ასეთი კონტროლი ხორციელდება საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება;
- მცირდება საქონლის თავდაპირველი ღირებულება, საბაჟო დეკლარაციით განსაზღვრული საბაჟო ღირებულება არ ექვემდებარება კორექტირებას და დეკლარანტს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაცია წარმოადგენს ოპერაციას, რომელიც ხორციელდება საქართველოს საწარმოსა და:

- ურთიერთდამოკიდებულ საწარმოს შორის, რომელიც არ არის საქართველოს საწარმო.
- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტს შორის, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ურთიერთდამოკიდებული პირები.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 17 თებერვლიდან.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.